განმარტებითი ბარათი
„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“
საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საფინანსო სექტორის წარმომადგენლებზე საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისას საქართველოს ეროვნული ბანკის ზოგიერთი უფლებამოსილების დაზუსტების საჭიროება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია პირის საფინანსო სექტორის წარმომადგენლად რეგისტრაციისას ან ლიცენზირებისას საფრთხე არ შეექმნას საფინანსო სექტორის სტაბილურობას და თავიდან იქნას აცილებული საერთაშორისო ორგანიზაციების სავალდებულო გადაწყვეტილებებით ან/და რეკომენდაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის გაფორმებული შეთანხმებების დარღვევა და შეუსრულებლობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

სხვადასხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულია პირდაპირი საფუძვლები, თუ რა შემთხვევაში აქვს ეროვნულ ბანკს უფლებამოსილება პირს უარი განუცხადოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლად რეგისტრაციაზე ან ლიცენზირებაზე. წარმოდგენილი კანონპროექტი, რომლითაც 48–ე მუხლს ემატება ახალი რედაქციის 3^1 პუნქტი, განისაზღვრა დამატებითი პირობები, რომელიც ეროვნულ ბანკს აგრეთვე აძლევს შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება პირის რეგისტრაციაზე ან მასზე ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ეს საფუძვლებია თუ:

ა)პირის რეგისტრაციამ ან მასზე ლიცენზიის გაცემამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველს საფინანსო სექტორის სტაბილურობას;

ბ)პირის რეგისტრაციამ ან მასზე ლიცენზიის გაცემამ შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ორგანიზაციების სავალდებულო გადაწყვეტილებებით ან/და რეკომენდაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა;

გ) პირის რეგისტრაციამ ან მასზე ლიცენზიის გაცემამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის გაფორმებული შეთანხმებების დარღვევა;

დ) ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა არ წარმოადგინა სრულყოფილი ინფორმაცია სუბიექტის საქმიანობის დაწყებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კაპიტალური მოთხოვნების შესრულებისათვის საჭირო თანხების წარმომავლობის შესახებ.

ზ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ზ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ზ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ზ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ზ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ბანკი

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორი: დავით ონოფრიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორი: დავით ონოფრიშვილი